

## სიზმრად ნანახი რეალობა

დიდი ხანია, რაც ჩემს ფიქრებს საზღვარი არ აქვს. ისინი დაუკითხავად მოდიან, მეზაასაზიან და ღრმა კვალს ტოვებენ ჩემს გონებაში. მათით შეპყრობილი, კვირები დღეებად, დღეები საათებად, საათები კი წამებად მექცა. შემძლია ვთქვა, რომ ისინი ჩემი ახლო მეგობრები, მაგრამ ამავე დროს მტრებიც არიან, რომლებიც მოსვენებას მიკარგავენ და ამოსუნთქვის საშუალებას არ მამლევენ.

მკითხავთ, თუ რატომ გიყვებით ამ ყველაფერს, რა გახდა მიზეზი იმისა, რომ თავს უფლება მივეცი, თქვენამდე მომეტანა საკუთარი ფიქრები, რომლებმაც სხვა სამყაროში გადამისროლეს, დროის შეგრძნება დამაკარგვინეს, ზეცაში ამაფრინეს და თავი მოფარფატე პეპლად მაგრძნობინეს, რომელმაც დიდხანს ვერ იცოცხლა, მაგრამ თითოეული წამით დატკბა და რაღაც ახალი შეიქცნო.

მინდა მოგიყვებთ იმ საოცარ „სიზმარზე“, რომელიც გუშინ ღამით მესტუმრა და თქვენდა გასაკვირად, გადამისროლა ძველი დროის ეპოქაში. სწორედ იმ პერიოდში, როდესაც ჩვენი პატარა კახი - მეფე ერეკლე მეორე, არაფერს იშურებდა საქართველოს კეთილდღობისთვის.

ყველაფერი ასე დაიწყო:

გუშინ ღამით გვიან მომიწია დაწოლა, რადგან სტატიას გადავაწყდი მეფე ერეკლე მეფეზე, რომელმაც ძალიან დამაინტერესა. ამის გამო, ორი საათი პატარა კახზე ფიქრს შევალე, შემდეგ მოქანცულმა ძლივს მოვახერხე ფიქრის ძაფები გამეწყვიტა და უკიდევანო სივრცეში გადავშვებულიყავი მთელი სხეულით. გვრძნობდი, როგორ დავხეტიალობდი შავ ჰორიზონტზე, მას ბოლო არ უჩანდა, მაგრამ ერთ მომენტში, სინათლის სხივს გადავაწყვდი, რომელმაც კართან მიმიყვანა. ზღრუბლებზე ფეხის გადაგმამ, წამსვე დამავიწყა ჩემი ვინაობა, ასავალ-დასავალი და თავი ამომაცოფინა მდიდრულ, მაგრამ ამავე დროს მოკრძალებულ ოთახში.

ოთახი არ იყო დიდი, მაგრამ იგრძნობოდა, რომ ვინმე გამორჩეულ ადამიანს ეკუთვნოდა. ყველაფერი ზედმიწევნით სუფთად და მოწესრიგებულად ელაგა. ოთახში სისხლისფერი წითელი ჭარბობდა, რაც მაშინვე ახდენდა ადამიანზე ზეგავლენას. მაგიდაზე წიგნები ეწყო, იქვე დაუმთავრებელი წერილები, კედლებს ამშვენებდა იარაღი, რომელიც, რაღაც დოზით, შიშის ზარს ცემდა ადამიანს. ერთი სიტყვით, ყველაფერი ერთმანეთს ავსებდა და ქმნიდა იდილიას, მაგრამ ყველაზე მეტად ჩემი ყურადღება სკივრმა მიიპყრო, რომელიც თითქოს ჩუმად მიხმობდა, რათა შემეცნო ის.

აღნიშნული სკივრი გახლდათ საკმაოდ მოზრდილი, ხელით ნაქარგ-ნაკვეთი. ის გამორჩეული იყო ყველა სკივრისგან, რაც აქამდე მენახა. ვიზუალს რომ თავი დავანებოთ, თითქოს მას სხვა ელფერი დაკრავდა, რაც მაშინვე მისკენ გიზიდავდა. სკივრისკენ ნელი ნაბიჯით გავეშურე. გულისყურით ვათვალიერებდი ყველაფერს, მინდოდა ისინი ღრმად

ჩაბეჭდილიყო გონებაში, რადგან შინაგანი ხმა მკარნახობდა, რომ მეორედ მისი ნახვის საშუალება აღარ მომეცემოდა.

მეც დავემორჩილე შინაგან ხმას და ფრთხილად მივუახლოვდი სკივრს, რომელმაც თავიდანვე შესძლო ჩემი დაინტერესების საგანი გამხდარიყო. ფიქრებში გართულმა, ვერც კი გავიაზრე, როგორ მივუახლოვი სკივრს და ავხადე სახურავი. სახურავი, რომლის მიღმა თურმე აურაცხელი ნივთი მეგულებოდა.

ნივთები ერთმანეთის მიყოლებით ეწყო, იგრძნობოდა, რომ პატრონი მათ უფრთხილდებოდა. რას არ ნახავდით სკივრში: ხის ჯვარს, რაც მიუთითებდა, რომ მფლობელი ამ სკივრისა ქრისტიანი უნდა ყოფილიყო, ქსოვილების სახეობას, ბროლის ორ საშაქრეს, მათგან ერთი მწვანე ფერით იყო შემკული, მეორე ფითქინა თეთრით გამოირჩეოდა, რომლის პირი გატეხილი გახლდათ, მაგრამ ზუსტად ეს ნაკლი აქცევდა მას გამორჩეულს. არ შეიძლება, არ აღინიშნოს უამრავი ყავის და ასევე ჩაის ფინჯანი. თითოეული ერთმანეთისგან გამოირჩეოდა თავისი სილამაზით და ორიგინალურობით. ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდნენ, თითქოს ისინი ერთმანეთს ეპაექრობოდნენ, რომელი უფრო მეტად დაატყვევებდა თავისი სილამაზით მნახველს. იგრძნობოდა, რომ მათი პატრონი ყავის ფინჯნებით დიდად იყო მოხიბლული, რადგან მათ საგანგებოდ ინახავდა. იქვე გადააწყდებოდი ქალაღს, ისეთს, რომელიც სიგელის დასაწერად გამოიყენება. ასევე არშიაზე მინაწერებს: სანთლის ნამწვი, ერთი უბრალო, ნახმარი დანა-ჩანგალი, ლაქის ნამტვრევები, მუშანბის ნაჭრები, მაუდის ხელსახოცები და ვინ მოთვლის კიდევ, რამდენი რამე იმალებოდა, ერთი შეხედვით ამ უბრალო სკივრში.

მათით მოხიბლულს, სულ გადამავიწყდა სად ვიმყოფებოდი, რომ არა რაღაც ხმაური, რაც კარის გაღებამ გამოიწვია. მეც მაშინვე კარს ვესროლე მზერა და ლანდს მოვკარი თვალი, რომელიც არასოდეს გაქრება და ალბათ კადრებად გადამეშლება ხოლმე გონებაში. ნელ-ნელა შევძელი აფორიქებული გული დამეწყნარებინა და არეული გონება დამელაგებინა, რათა ჩემს წინ მდგომი ადამიანი შემეცნო, რომლის მხოლოდ ზურგს ვხედავდი. როგორც იმ მომენტში შევძელი გააზრება, მისი სიმაღლე საკმაოზე მეტი იყო. ალბათ წამებში მოხდა ეს ყველაფერი, მაგრამ იმ მომენტში ჩემთვის თითქოს საუკუნები გავიდა, სანამ შევძელი მისი სახის დანახვა, სახის, რომელიც ალბათ მილიონჯერ მქონდა ნანახი, მილიონჯერ წარმოდგენილი ჩემს გონებაში და მისი სახელიც კი მოსმენილი, ნათქვამი და დაწერილი. წინ მედგა ის ადამიანი, რომელზეც წინა ღამით ფიქრებმა არ დამასვენეს, დიახ, სწორად მიმიხვდით, ეს ჩვენი პატარა კახი იყო. ჩვენი სიამაყე, ქვეყნის გმირი და თავდადებული პიროვნება.

აღარ დავიწყებ საუბარს ჩემს ემოციებზე, რადგან ალბათ, თავი უკვე მოგაბეზრეთ ჩემი ფიქრებით. პირდაპირ აღვიწერთ ჩემს წინ მყოფ ადამიანს, რამდენადაც ამას შევძლებ.

მეფე ერეკლე 27 წლის უნდა ყოფილიყო. სხეული კარგად ქონდა ჩამოსხმული. იმის მიუხედავად, რომ უბრალო ტანსაცმელი ემოსა, მასზე უკეთესი სანახავი თვალთ არ ინახებოდა. მისი მანერები და ბრძენკაცური სიმშვიდე, ერთმანეთს შესანიშნავად ერწყმოდა.

უყურებდი და ხედავდი სახის მიმზიდველ წყობას, უძირო თვალებს, კეთილშობილებით სავსე მზერას, საიდანაც სითბო იღვრებოდა. მისი სიშვიდე შენზეც ახდენდა ზეგავლენას, რაც უფრო დიდხანს უმზერდი, მით მეტად გიპყრობდა წყურვილი შეგეცნო მისი დარდი, წუხილი, რომელიც ასე აღბეჭდოდა სახეზე 27 წლის ყმაწვილს. მანერებიც კი უბრალო ქონდა მეფე ერეკლეს, მაგრამ ყველაფერი ერთად, დიდებულ შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაშინვე აღიქვამდი მას სახალხო გმირად, სანიმუშო ადამიანად, შორსმჭვრეტელ პოლიტიკოსად.

თვალებს არ ვუჯერებდი, მინდოდა ეს წუთები არასდროს დამთავრებულიყო და სამუდამოდ აღბეჭდილიყო ჩემს გონებაში, მაგრამ ყველაფერს ხომ დასასრული აქვს, ჩემი სიზმრის ჩათვლით. ვგრძნობდი, ხელიდან როგორ მეცლებოდა წინ გადაშლილი ხედი, როგორ იზრდებოდა მანძილი ჩემსა და პატარა კახს შორის. დიდი ძალისხმევის მიუხედავად, დიახ, ჩემი სიზმარიც დასრულდა სამუდამოდ.

იმ ღამის შემდეგ, დიდმა დრომ განვლო, მაგრამ არც ერთი წამი თუ წუთი, ჩემი მეხსიერებიდან არ წაშლილა, არ გამქრალა. დღესაც ვივსები ხოლმე იმ განცდებით, რაც ამ სიზმარმა ჩემში დაბადა, დღესაც თვალწინ მიდგას მომღიმარი მეფე ერეკლე, ჩვენი საამაყო მეფე, ჩვენი ღირსეული პრინცი, ჩვენი პატარა კახი, რომლის მწუხარე აჩრდილი, თბილისის ნანგრევებზე დღემდე დახეტიალობს.

სსიპ-ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქისტაურის საჯარო სკოლის, მეათე კლასის მოსწავლე ლიკა ბუზალაძე.

ასაკი: 15 წლის